დანართი №2

შპს „მარნეულის კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო რამიშვილი

წევრები:

თეიმურაზ საღინაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „მარნეულის კოლეჯი“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

სსიპ - 'განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის' 10/03/2026 ბრძანება N MES 8 26 0000295045 საფუძველზე, 2026 წლის 20 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს „მარნეულის კოლეჯში" (მისამართი: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია" და მისი განხორციელების ფართის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხორციელდა სასწავლო სივრცეების ფიზიკური დათვალიერება, მათ შორის, დარგობრივი ლაბორატორიის, IT ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკის შემოწმება. ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირდა ხარვეზი ინსტიტუციური სტანდარტის ნაწილში. ინდიკატორი 5.1.2.3: კოლეჯის შენობის მესამე სართული, სადაც დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია" განხორციელება და ასევე, მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა არ იყო ასახული „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში". აღნიშნული ფართისა და საევაკუაციო გეგმის გათვალისწინებით კი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან (სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური"), რაც დადასტურდა წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დაწესებულებაში ვიზიტისას, კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზეც. ვიზიტი დასრულდა დღის შეჯამებით და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გამოკვეთილი მიგნებების გაცნობით.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ვიზიტის ფარგლებში II სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა V სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორი 5.1.2.3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი *- დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში მესამე სართულის ფართის (ახალი სასწავლო გარემოს)შესახებ ინფორმაციისა და საევაკუაციო გეგმის ასახვა და შეათანხმოს კომპეტენტურ ორგანოსთან - სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან"*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა - არ შეესაბამება. თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით,(წერილი MES 4 26 0000403914 – 03/04/2026) წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა(დამტკიცებულია მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის N 5346 ბრძანებით (ცვლილება - დირექტორის N5871 ბრძანება), რომელშიც ინდიკატორის შესრულების ვადად განსაზღვრულია არაუმეტეს ერთი თვე(2026 წლის 05 აპრილამდე) და აღნიშნული ინდიკატორის შესრულების მტკიცებულება. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეთანხმებული (ასახულია მესამე სართულის ფართი და მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.(თარიღი 31/03/2026 - წერილი: MIA 5 26 01111503). აღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფმა **ინდიკატორი 5.1.2.3. - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - შეაფასა, როგორც - მეტწილად შეესაბამება.**

VI. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ვიზიტის ფარგლებში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ დასკვნის პროექტში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (წერილი MES 4 26 0000403914 – 03/04/2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტისას დაფიქსირებული ხარვეზის შესახებ. დასკვნის პროექტში ხარვეზი დაფიქსირებული იყო შემდეგი ფორმულირებით: **ინდიკატორი 5.1.2.3. - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი** - კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ არ მოიცავს შენობის მესამე სართულს, სადაც დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ განხორციელება. ახალი სასწავლო ფართისთვის მომზადებული საევაკუაციო გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან —

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“. შესაბამისად, ახალ სასწავლო გარემოში სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების მექანიზმები სამართლებრივად არ არის მოწესრიგებული. - ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

აღნიშნული ხარვეზის ერთ-ერთ ნაწილს, კერძოდ, „ახალი სასწავლო ფართისთვის მომზადებული საევაკუაციო გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან“ — სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“, შპს “მარნეულის კოლეჯი” - არ დაეთანხმა და წარმოადგინა, შემდეგი არგუმენტები და მტკიცებულებები: „მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან 2025 წლის თებერვალში. საევაკუაციო გეგმები ვიზიტის დღესაც გამოკრული იყო შენობის თვალსაჩინო (გეგმით განსაზღვრულ) ადგილზე და ზედ რეკვიზიტად ადევს შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.“ ასევე, დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა, ხელშეკრულება მომსახურების გაწევის თაობაზე (ხელშეკრულება NO27/02), აღნიშნული ხელშეკრულების მუხლი 2-ით განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავება. აღნიშნულ ხელშეკრულებას ახლავს მიღება-ჩაბარების აქტიც, რომელშიც წარმოდგენილია შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავებისთვის გაწეული შრომის საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაცია, რაც დასტურდება მხარეების მიერ ხელმოწერითაც. ფოეიში გამოკრული მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა, კოლეჯის ვიზუალური დათვალიერების დროსაც იხილეს ექსპერტებმა და აღნიშნულის ფოტო-მტკიცებულებაც არსებობს.

ზემოთ მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და განმარტავს, რომ მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა მომზადებულია, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ და აღნიშნული ინფორმაცია დატანილია საევაკუაცია გეგმაზეც, რომ შემსრულებელი არის ზემოთაღნიშნული ორგანო, თუმცა მესამე სართულის ფართის (ახალი სასწავლო გარემოს)საევაკუაციო გეგმა არ წარმოადგენდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დოკუმენტის ნაწილს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ საევაკუაციო გეგმა მომზადებულია შესაბამისი ორგანოს მიერ და გამოკრულია დაწესებულების მესამე სართულზე, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა აღნიშნული(მესამე სართულის) საევაკუაციო გეგმის გათვალისწინებით, არ არის შეთანხმებული სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“. შესაბამისად, აღნიშნულ ჭრილში იყო განხილული ხარვეზის ერთ-ერთი ნაწილი, სადაც ასახულია, რომ საევაკუაციო გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გარდა აღნიშნული არგუმენტებისა, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(დამტკიცებული მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის N 5346 ბრძანებით (ცვლილება - დირექტორის N5871 ბრძანება) რომელშიც ინდიკატორი 5.1.2.3. - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - შესრულების ვადად განსაზღვრულია არაუმეტეს ერთი თვე(2026 წლის 05 აპრილამდე), რაც გონივრულია ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. თუმცა, აღნიშნული ინდიკატორის შესრულების მტკიცებულება, ახალი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სსიპ - „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან". (თარიღი 31/03/2026 - წერილი: MIA 5 26 01111503) დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში/Secondary Vocational Qualification in Cooking
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის N3862 ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	104
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“ შემუშავებულია, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი წესების დაცვით და მისი საჭიროება დადასტურებულია მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების დოკუმენტით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს “მარნეულის კოლეჯის” დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2026 წლის 2 თებერვლის N 1711 ბრძანება) დამტკიცებული დაწესებულების „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით„ . აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლის თანახმად, კოლეჯში ახალი პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივის წარდგენა შეუძლია პერსონალს, დამსაქმებელს, სტუდენტს, კურსდამთავრებულს და სხვა დაინტერესებულ პირს. ინიციატორი წინადადებით მიმართავს დირექტორს და მისი მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, იწყება პროგრამის შემუშავების პროცესი.

კოლეჯის დირექტორი ქმნის პროგრამის დამატებაზე მომუშავე ჯგუფს (კოლეჯის სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებელი/სპეციალისტი), რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი. სამუშაო ჯგუფი ოთხი კვირის ვადაში მუშაობს პროგრამის პროექტზე რისთვისაც ტარდება შემდეგი სამუშაო: პროგრამის განმახორციელებელი პირების შერჩევა - საკონკურსო კომისია/პასუხისმგებელი პირი; პროგრამის განმახორციელებელი პირებთან წინარე ხელშეკრულების გაფორმება - დირექტორი; აღჭურვილობის და სასწავლო რესურსის პროგრამასთან შესაბამისობაში მოყვანა - ადმინისტრაციული დირექტორი; პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მომზადება; პროგრამის/მოდულების ადაპტირება; არჩევითი მოდულების დამატების არგუმენტირებული დასაბუთება (არსებობის შემთხვევაში). სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამის პაკეტს ჯგუფის ხელმძღვანელი წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად, რომელიც პროგრამის დამატების პაკეტის წარდგენის შემდეგ უფლებამოსილია, პროგრამის დამატებაზე განაცხადოს უარი და ამ შემთხვევაში პროცესი სრულდება. თანხმობის შემთხვევაში, დირექტორის მიერ პროგრამის დამტკიცების შესახებ გამოიცემა ბრძანება. დამტკიცებული პროგრამა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თანდართული დოკუმენტაციით.

კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა, მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი, რომელშიც გათვალისწინებული იყო, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან, ასევე, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოკვლევის შედეგები, ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზის შედეგები, დამსაქმებლებისგან და პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი და დასქმების პლატფორმების ანალიზით მიღებული შედეგები. აღსანიშნავია, რომ კლეჯის სამოქმედო არეალში სხვა არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება არ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარია“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოლეჯის მისიაა მრავალპროფილური პროფესიული პროგრამების განხორციელებით, ქვემო ქართლის რეგიონის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება და დასაქმების ხელშეწყობა, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე ზრუნვა. კოლეჯი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას, ქართული ენის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებში ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის ღირებულებების დამკვიდრებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება პროგრამის განხორციელებით შეძლებს, უზურუნველყოს ერთის მხრივ, რეგიონის შიდა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება და მეორეს მხრივ, სტრატეგიული მიზნების მიღწევადობა, რაც მოიცავს ხარისხიანი განათლების მიწოდებას და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე რეაგირებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.1.1.1 - პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; - დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "კულინარია" მეოთხე დონის პროგრამაა და დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. შპს „მარნეულის კოლეჯს" შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი", რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N 3243 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2026 წლის 2 თებერვლის N 1711 ბრძანება) და არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლის შესაბამისად, საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩევას ახორციელებს კოლეჯი და საჭიროების შემთხვევაში, შერჩევა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ასევე, საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.

შერჩევის პროცედურები და შეფასების ინსტრუმენტები ორიენტირებულია მაღალი მოტივაციის მქონე კანდიდატების გამოვლენაზე. იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ სახელმწიფო ენის ფლობა, გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულების გავლა; პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მათ აღნიშნული კომპეტენციის დადასტურების შემდეგ მიეცემათ. **ინდიკატორი 2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; - დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით; ბოლო ცვლილება:დირექტორის 2026 წლის 2 თებერვლის N 1711 ბრძანება) რომლის მე-9 მუხლი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტის გასაზღვრის ძირითად პირობებს.

პროფესიულ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირია აკადემიური დირექტორი. კოლეჯში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება თითოეულ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობათა ჯამით. თითოეულ პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა კი განისაზღვრება რამოდენიმე კომპონენტის გათვალისწინებით:

A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა თეორიულ სამეცადინო ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა; კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა.

B გარემო/კომპიუტერული კლასი - კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ყოველ პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი; კომპიუტერების რაოდენობა კლასში უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ თითოეულმა პროფესულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება პერსონალურ კომპიუტერთან; B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც შესაძლებელს ხდის ერთ ცვლაში B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ორმოცმაგი რაოდენობა დაიტვირთოს.

C გარემო/პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით: ყოველ პროფერსიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული სამუშაო ადგილის ფართობი; კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკის ოთახი გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფეისულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად.

აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარია“ ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის თებერვლის N N383862 ბრძანებით., რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:A გარემოში - აუდიტორია N301 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 40; C გარემო - აუდიტორია N 311 და N310 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20; B გარემო - აუდიტორია N308 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 24; მოდულებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

პროფესიული სტუდენტის დატვირთვა გადანაწილდება შემდეგი პროცენტულობით: დატვირთვა A გარემოში - 33 % (30 კრედიტი); დატვირთვა დისტანციური - 21 % (15 კრედიტი); დატვირთვა C გარემოში- 41 % (37 კრედიტი) ; დატვირთვა B გარემოში - 5 % (8 კრედიტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარია“ ერთი წლის განმავლობაში, ორი მიღების ფარგლებში განახორციელებს 104 პროფესიული სტუდენტის მიღებას. სწავლება განხორცილედება ცვლებში. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით, პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი ფართი და ინვენტარი/აღჭურვილობა შეესაბამება სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და იძლევა როტაციული პრინციპით მუშაობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; - დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში “კულინარია” მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯის საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის მიხედვით დადგენილი შედეგების მიღწევას. კოლეჯს აქვს შესაბამისი სასწავლო გარემო, რომელიც ითვალისწინებს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას, რაც აუცილებელია პროგრამის შედეგების მიღწევისთვის. სასწავლო გარემო (ABC სივრცე) მოწყობილია მოთხოვნილ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და საჭირო მატერიალური რესურსით, რაც დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას საგანმანათლებლო პროცესები განახორციელოს ეფექტურად და ხარისხიანად.

საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მატერიალური სახით არის ხელმისაწვდომი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ასევე, წარმოდგენილია ელექტრონული სახითაც და ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში.**ინდიკატორი 2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“ მოიცავს არჩევით მოდულს - „პრაქტიკული პროექტი - კულინარია“, რომელიც არის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „კულინარია“ დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი, რაც განაპირობებს მისი განხორციელების მიზანშეწონილობას და ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. **ინდიკატორი 2.1.1.5 - საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“ დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, (მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამატება) შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის(N2099 თარიღი 05.02.2026) მიერ და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის-დირექტორის ბრძანებით (N3862, 27.02.2026). **ინდიკატორი 2.1.1.6. - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; - დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “კულინარია’ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის კულინარია/ Cooking (სარეგისტრაციო ნომერი 10.17.1) საფუძველზე და მისი სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარას, მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ინდიკატორი 2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; - დაკმაყოფილებულია.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - კულინარია/ Cooking (სარეგისტრაციო ნომერი 10.17.1) საფუძველზე. პროგრამის დოკუენტში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამის ძირითად დოკუმენტს თანახლავს შემდეგი დანართები: მოდულები(ზოგადი, პროფესიული, არჩევითი), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და აღნიშნული პირებისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. **ინდიკატორი 2.1.1.8 - პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
4. საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა);
5. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია,
6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კოლეჯის დირექტორის სამუშაო აღწერილობა
7. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი;
8. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.
9. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“ განხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსებით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას.

   დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისთვით გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო, რომელშიც წარმოდგენილია სამუშაო ადგილი(მაგიდა და სკამი) 40 პროფესიულ სტუდენტზე, სამუშაო ადგილი პროფესიული მასწავლებლისთვის(1 მაგიდა და სკამი), ერთი კომპიუტერი მასწავლებლისთვის, 1 დაფა და 1 დემონსტრირების ციფრული საშუალება; B გარემოში წარმოდგენილია სამუშაო ადგილი 24 პროფესიულ სტუდენტზე(მაგიდა და სკამი); 24 პერსონალური კომპიუტერი; სამუშაო ადგილი პროფესიული მასწავლებლისთვის (1 მაგიდა და სკამი); 1 კომპიუტერის კომპლექტი მასწავლებლისთვის; პრინტერი 1 ცალი, C გარემოში წარმოდგენილია სამუშაო ადგილი ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტისთვის. სამზარეულო აღჭურვილია მოთხოვნების შესაბამისად და განთავსებულია სტანდარტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოთხოვნილი ყველა ინვენტარი/აღჭურვილობა. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისთვის დაწესებულებას გააჩნია გასახდელი ოთახი და მარაგებისთვის განკუთვნილი სივრცე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ განხორციელებისთვის, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრული ჰყავს მინიმუმ ორი და მეტი პირი. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სულ 31 პროფესიული მასწავლებელი, აქედან პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებლი 17 პირი, ზოგადი მოდულების განმახორციელებლი - 10 პროფესიული მასწავლებელი და ქართული ენა A2/B1 – 4 პროფესიული მასწავლებელი. სასწავლო გეგმის და გაფორმებული წინარეხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. წინარე ხელშეკრულებებს ახლავს მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს. პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია დასტურდება მათი პირად საქმეში არსებული სამუშაო გამოცდილების ცნობებითა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომელთა კომპეტენცია აღნიშნული პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის დასტურდება ინტერვიუირების შედეგებითაც.ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; - დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N 55 ბრძანებით დამტკიცებული აქვს “პეროსნალის მართვის წესი” (ბოლო ცვლილება 2026 წლის 2 თებერვლის N1711 ბრძანება), რომელიც ადგენს, როგორც ადმინისტრაციული ასევე, საგანმანათლებლო პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამუშაო ვალდებულებებს. აღნიშნული დოკუმენტის მუხლით 13.16 განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “კულინარია” განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული წინარეხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, რომელიც თანხვედრაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად ან დარგის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ასევე, ისინი მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში და C გარემოს მოწყობის საკითხებში.**ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; - დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N 55 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "პეროსნალის მართვის წესი" (ბოლო ცვლილება 2026 წლის 2 თებერვლის N1711 ბრძანება), რომლის მიხედვითაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება პროფესიული პროგრამის შესაბამისი დარგის მიმართულებით ან სულ მცირე სამწლიანი სამუშაო გამოცდილება პროფესიული პროგრამის შესაბამის დარგში. აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარია" პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, რომელიც შესაბამისაობაშია დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ასევე, მასთან გასაუბრების შედეეგად დასტურდება, რომ მას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს აღნიშნული დარგის მიმართულებით, რომელის მტკიცებულებადაც წარმოდგენილი იყო შესაბამისი სამუშაო გამოცდილების ცნობები. ასევე, ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, რომელიც მოიცავდა, როგორც მოდულების ადაპტირების, სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობით შედგენისა და პრაქტიკული მეცადინეობის გარემოს მოწყობის პროცესებს. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულების ბიბლიოთეკის მართვის წესის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, ყველაზე მოთხოვნადი სახელმძღვანელოები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია" სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში უპირატესად ელექტრონული რესურსები გამოიყენება, თუმცა მასალების მაქსიმალური ხელმისაწვდომობისთვის, ბიბლიოთეკის ფონდი ასევე შევსებულია ძირითადი სახელმძღვანელოების ბეჭდური ვერსიებით, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბმისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი და პრინტერი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; - დაკმაყოფილებულია.

6.დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N 55 ბრძანებით(ბოლო ცვლილება 2026 წლის 2 თებერვლის N 1711 ბრძანება) დამტკიცებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მესამე თავის 21-ე მუხლით, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. დოკუმენტის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის) საჭიროებისთვის კოლეჯი ვალდებულია შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. მხარეებს შორის შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარია“ სასწავლო პროცესი ჯერ-ჯერობით არ ხორციელდება, რადგან დაწესებულება პროგრამის დამატების ეტაპზე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას სსსმ/ შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს. თუმცა, ზემოთაღნიშნული რეგულაციების მიხედვით, კოლეჯი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გარემოსა და რესურსების გონივრული მორგება სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. რეგულაცია ითვალისწინებს, როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას ასევე, ადაპტირებული სასწავლო მასალების (მაგ. მსხვილი შრიფტით მომზადებული ტექსტები, აუდიო რესურსები და სხვ.) ხელმისაწვდომობას. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ასახავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შემოსავლებისა და ხარჯების დეტალურ ანალიზს. დოკუმენტის შესწავლით დადგინდა შემდეგი: ბიუჯეტი დაგეგმილია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისა (104 პროფესიული სტუდენტი) და ვაუჩერული დაფინანსების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 15-ით. ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წილი (დაახლოებით 30%) მიმართულია პედაგოგთა საათობრივ ანაზღაურებაზე, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს, ისე შეფასების ინსტრუმენტების მომზადებისა და კონსულტაციების კომპონენტს.დოკუმენტში გაწერილია ხარჯები სასწავლო ნედლეულის და მასალებისა. ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯებს შრომის უსაფრთხოების, უსაფრთხო გარემოსა და დაცვის უზრუნველყოფისათვის, რაც შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან. ვინაიდან საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურია, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკურ ხარჯებს.**ინდიკატორი 2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით;*
2. *მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
3. *ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;*
4. *დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;*
5. *დაწესებულების „პერსონალის მართვის წესი“;*
6. *პროფესიული განათლების მასწავლებელთაპირადი საქმეები;*
7. *პროფესიულ სტუდენტთა ზრვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
9. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
10. ბიბლიოთეკაში მუშაობის წესი;
11. ბიბლიოთერკართან გასაუბრების შედეგები.
12. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან
13. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის N1711 ბრძანებით „პროფესიული პროგრამის შეფასების და განვითარების წესი“, რომლის მიხედვითაც, პროფესიული პროგრამის შეფასებას ახორციელებს და პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური. ხარისხის მართვის სამსახური პროგრამის შეფასების მიზნით განიხილავს ორი სახის მონაცემებს: თვისობრივს და რაოდენობრივს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამების შეფასება ხორციელდება კომპლექსურად, სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობთ.

   პროფესიული პროგრამის სტატისტიკურ მონაცემი (რეგისტრანტი, სტუდენტი, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, კურსდამთავრებული) - გამოითხოვს კანცელარიისგან კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და დამსაქმებელთა მონაცემს კოლეჯის კურსდამთავრებულთა კომპეტენციის შეფასების ნაწილში - ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური; პროფესიული პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგი - გამოითხოვს ბუღალტერისგან; პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების შესახებ მონაცემები (რაოდენობა, კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგები) და მასწვლებელთა თვითშეფასების შედეგები - გამოითხოვს ადამიანური რესურსის მმართველისგან; შუალედური/საკვალიფიკაციო შეფასების შედეგები, ვერიფიკაციის პროცესების ძირითადი მიგნებები, დისტანციური სწავლების შედეგების ანალიზი(ძირითადი მიგნებები) - ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური; მატერიალური და სასწავლო რესურსების შესაბამისობის ანალიზე (მონაცემი ამოღება ხდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული - სტუდენტთა კმაყოფილების და პერსონალის კმაყოფილების კვლევიდან); პროგრამის განხორციელების პროცესში გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხები (მოდულების განხორციელების ცვლილების საჭიროება, სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, სასწავლო მასალა, გარემო, სტუდენტების საჭიროებები და სხვ.) და სასწავლო პროცესის შეფასების შედეგები - გამოითხოვს სასწავლო პროცესის სამსახურისგან;

   ხარისხის მართვის სამსახური პროფესიული პროგრამის შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციებს განსაზღვრავს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობა, კურსდამთავრებულთა დასაქმება და კარიერული შედეგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამის განხორციელების რესურსები და უზრუნველყოფა, აკადემიური პერსონალის შეფასება, ფინანსური და ადმინისტრაციული შესაბამისობა და პროგრამის შესაბამისობა რეგულაციებსა და სტანდარტებთან.

პროგრამის შეფასების ვადები განისაზღვრება ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმით. შეფასებისთვის პროგრამის შერჩევა ხორციელდება შემდეგი გარემოებების დადგომის გათვალისწინებით: სრულიად ახალი პროგრამა (ერთი ციკლის დასრულების შემდეგ); პროგრამა დიდი ხანია არ შეფასებულა (3 წელი); პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთა 85%-იანი ცვლილება 1 წლის ვადაში; თვითშეფასების შედეგები; შიდა კვლევების/მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები; გარე მონიტორინგის შედეგებით გამოვლენილი გამოწვევები/ხარვეზები. მონაცემების დამუშავება და ანალიზი ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის სამუშაო შეხვედრებზე. დამუშავებული/შესწავლილი მონაცემები აისახება პროგრამის შეფასების ფორმაში, რომელიც დანართად ახლავს პროგრამის შეფასების წესს. დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე(დამსაქმებელთა კვლევა, შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები და ა.შ.) ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის N1711 ბრძანებით „პროფესიული პროგრამის შეფასების და განვითარების წესი“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლში განსაზღვრულია, პროგრამის განვითარების მექანიზმები. პროგრამის განვითარების მიზნით ყოველი პროფესიული პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს პროგრამის შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის მიხედვით და შედეგებს წარუდგენს დირექტორს და სტრუქტურის ხელმძღვანელებს.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების შედეგების წარდგენის შედეგად აკადემიური დირექტორის ხელმძღვანელობით და ორგანიზებით იკრიბება სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:აკადემიური დირექტორი; ადმინისტრაციული დირექტორი; სასწავლო მენეჯერი; პრაქტიკის მენეჯერი; ადამიანური რესურსის მმართველი; პროგრამის ხელმძღვანელი; ბუღალტერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;სხვა დაინტერესებული პირი აკადემიური დირექტორის გადაწყვეტილებით.

სამუშაო ჯგუფი განიხილავს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ წარდგენილ პროფესიული პროგრამის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ცვლილებებს. ჯგუფი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული პროგრამის: გაუქმების შესახებ; სწავლის საფასურის ცვლილების შესახებ; სტუდენტების ზღვრული ოდენობის ცვლილების შესახებ; მასწავლებლის ცვლილების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

პროგრამის წინაპიროებების ცვლილების შესახებ; რესურსების ცვლილების შესახებ; პროგრამაში/მოდულებში ცვლილების შესახებ; და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით განხორციელებული ცვლილების პროექტი აკადემიური დირექტორის მიერ წარედგინება კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (დირექტორის 29.09.2020, N54 ბრძანება);
2. „პროფესიული პროგრამის შეფასების და განვითარების წესი“ (დირექტორის 2026 წლის N1711 ბრძანება);
3. „შპს მარნეულის კოლეჯის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი“ (დირექტორის 29.09.2020, N54 ბრძანება);
4. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარია“ წარმოდგენილია დირექტორის მიერ დამტკიცებული ორი სასწავლო გეგმა, ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო გეგმა შედეგნილია ლოგიკური თანმიმდევრობით და პორფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება ორმოც საათს(საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.1.1. - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

2. შპს მარნეულის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 41-ე მუხლის (მხარდაჭერის ღონისძიებები) შესაბამისად, გამოკვეთილი საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური დირექტორი უფლებამოსილია, შეიტანოს ცვლილება სასწავლო კალენდარში. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შემუშავებას კონკრეტული ჯგუფის ან სტუდენტის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობასა და სტუდენტთა მხარდაჭერას.

   სტუდენტის აკადემიური მოსწრების ხელშეწყობის მიზნით, აკადემიური დირექტორი უფლებამოსილია, მოდულის დასრულებამდე დანიშნოს დამატებითი მეცადინეობები სასწავლო კალენდარში ცვლილების გარეშე; დამატებითი მეცადინეობების დანიშვნის დროს შესაძლებელია საგამოცდო თარიღის გადატანა არაუმეტეს სამი კვირისა პროგრამის წინაპირობების დაცვით; დამატებითი მეცადინეობების რაოდენობა სასწავლო კალენდრის ცვლილების გარეშე არ უნდა აღემატებოდეს მოდულის საკონტაქტო საათების 10%;

   დამდგარი საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მეცადინეობის მოთხოვნით აკადემიურ დირექტორს განცხადებით მიმართავს სტუდენტი/ები და/ან სასწავლო მენეჯერი; მობილობის, სტატუსის აღდგენის, საპატიო მიზეზით გაცდენების ან სხვა ობიექტური მიზეზის დროს, სტუდენტის აკადემიური მოსწრების ხელშეწყობის მიზნით აკადემიური დირექტორი უფლებამოსილია დანიშნოს დამატებითი კონსულტაციები კონკრეტული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფისათვის; დამატებითი კონსულტაციები არ აისახება სასწავლო კალენდარში და არ მოითხოვს ინდივიდუალური გეგმის გაწერას. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაესაუბრა აკადემიურ დირექტორს, რომელმაც აღნიშნა, რომ რეგულაციაში გაწერილი საკითხების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს სხვა პროგრამების ფარგლებში და შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ სტუდენტები კოლეჯისგან მიიღებენ მოცემული მექანიზმების შესაბამის მხარდაჭერას. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; - დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარია“ სწავლების პროცესს განახორციელებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრული სწავლის მეთოდების შესაბამისად. სწავლების პროცესი ითვალისწინებს დარგის შესაბამისი კომპეტენციების გამოყენებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია, თანამედროვე და სტანდარტების შესაბამისი მატერიალური რესურსებითა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და ინფრასტრუქტურით, რაც პროფესიულ სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამის განმახორციელებლები პარალელურად დარგის მოქმედი სპეციალისტებიც არიან, რაც დასტურდება პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრებით. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფენ პროფესიული მასწავლებლების გადამზადებას და პროგრამის განხორციელების დაწყებამდე დაგეგმილია, ახლადმიღებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგები/გადამზადება სწავლა-სწავლების მეთოდებთან და სპეციფიკასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხის შესახებ ინფორმაცია გაჟღერდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; - დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის 21-ე მუხლი მოიცავს, სასწავლო პროცესში ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. აღწშნული მექანიზმის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის) საჭიროებისთვის კოლეჯი ვალდებულია შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. მხარეებს შორის შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივუდლური სასწავლო გემის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს: თუ სტუდენტმა მეორე განმეორებითი შეფასების დროს ვერ მიიღო დადებითი შეფასება; არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა კოლეჯი ვალდებულია სტუდენტს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი; სატატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში; სტუდენტის მიერ პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული მოდულის/მოდულის კომპონენტების დაუდასტურებლობის შემთხვევაში; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში; მიღებული და დადასტურებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არაფორმალური განათლების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში; სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში (სწავლის ან კომპეტენციის დადასტურების შესახებ); შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას განსაზღვრავს აკადემიური დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.1.4 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; - დაკმაყოფილებულია**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად, არ საჭიროებს პსდ-ს თანამშრომლობას პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.1.5. - პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; - დაკმაყოფილებულია.**

6.წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კოლეჯში უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი წინასწარ გაწერილი სამუშაო გეგმის შესაბამისად ამოწმებს პროგრამის აღჭურვილობის უსაფრთხოებას და რეაგირებისთვის მიმართავს ადმინისტრაციულ დირექტორს. პროგრამის ხელმძღვანელი სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტებს ჩაუტარებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის დამტკიცებამდე განხორციელდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ პროგრამის საფრთხეების და რისკების შეფასება. (სამსახურეობრივი ბარათი კულინარიის პროგრამის რისკების შეფასება რეგისტრაციის N11). გარდა აღნიშნულისა, ვიზუალური დათვალიერების შედაგად დადგინდა, რომ დაწესებულებას პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამზადებული აქვს პოსტერები, რომლებზეც აღნიშნულია ძირითადი უსაფრთხოების წესები, რომლის დაცვაც სამუშაო/სასწავლო გარემოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. პროფესიული საგანმანათლებლო პორგრამის სასწავლო გეგმა;

3. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

4. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამსახურებრივი გარათი — „კულინარიის პროგრამის რისკების შეფასება“ (რეგისტრაციის №11)

5. პასუხისმგებელ პირებთა ინტერვიუს შედეგები; ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს მარნეულის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლი 18. სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი; მუხლი 19. სტუდენტის შეფასების წესი; მუხლი 20. სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი.) გათვალისწინებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი და უზრუნველყოფილია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სამართლიანობა, გამჭირვალობა, სანდოობა. რეგულაციის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას აწარმოებს მასწავლებელი ან შეფასების კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტი; სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება ტარდება კალენდარული გეგმით განსაზღვრულ ვადებში. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის საერთო ფორმას/ცვლილებას ფორმაში (რომელშიც გაწერილია ყველა სავალდებულო ინფორმაცია ინსტრუმენტის შესახებ) ამტკიცებს დირექტორი.

   შეფასებამდე ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესს ხელმძღვანელობს სასწავლო მენეჯერი, ხოლო ვალიდაციის პროცესში მონაწილეობს სასწავლო პროცესის უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი. სასწავლო მენეჯერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო პროცესის უფროსს სპეციალისტთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობას და მეთოდოლოგიურ კონსულტირებას უწევს მასწავლებელს. ვალიდაციის პროცესში სასწავლო მენეჯერთან/სასწავლო პროცესის უფროსს სპეციალისტთან ერთად მონაწილეობს შესაბამისი მოდულის დარგის მასწავლებელი/სპეციალისტი, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობას შინაარსობრივი მიმართულებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლი მოდულის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სასწავლო მენეჯერს შესათანხმებლად წარუდგენს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტს/ებს ან უკვე არსებულ ინსტრუმენტში შესატან ცვლილების პროექტს. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მასწავლებელს ეძლევა ერთი კვირის ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ვალიდირებული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტი ინახება კოლეჯის სერვერზე/ტესტმუზის პლატფორმაზე. შეთანხმებული ინსტრუმენტი (მათ შორის განმეორებითი შეფასების) აღირიცხება შეფასების ინსტრუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელსაც აწარმოებს სასწავლო პროცესის უფროსი სპეციალისტი. მოდულის/შეფასების განმეორებით განხორციელების შემთხვევაში ინსტრუმენტი ითვლება შეთანხმებულად თუ არ დადგა მასში ცვლილების შეტანის აუცილებლობა. ცვლილება ინსტრუმენტში განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ტარდება განმეორებითი შეფასება იმ სტუდენტისათვის, ვინც ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი. შეფასების პროცესი, რომელიც განხორციელდება არავალიდური ინსტრუმენტით ჩაითვლება ძალადაკარგულად და დაინიშნება თავიდან.

მოდულის ფარგლებში მოქმედი შეფასების მეთოდების და შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ სტუდენტს ინფორმაციას აწვდის მასწავლებელი მოდულის დაწყებისთანავე პირადი შეხვედრის დროს. მასწავლებელი მიაწვდის სტუდენტს შემდეგ ზოგად ინფორმაციას:სწავლის შედეგების შეფასების ზოგადი წესი; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმა; გეგმიური და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა წინაპირობიანი და წინაპირობის გარეშე მოდულის შემთხვევაში; სტუდენტის მიერ შექმნილი მტკიცებულების განკარგვის წესი; სტუდენტის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრების შესაძლებლობა და წესი; სწვლის შედეგების შეფასების მიმართულება (გმოკითხვა, დაკვირვება, მტკიცებულების წარდგენა);

შეფასებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე მასწავლებელი ელექტრონული ფოსტით მიაწვდის სტუდენტს შემდეგ ინფორმაციას: მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები; სწავლის შედეგების დადასტურების მიმართულება და ინსტრუმენტი (ტესტი, პრაქტიკული დავალება, სიმულაცია, ზეპირი შეკითხვები, ინტერვიუ, პროექტის მომზადება და სხვა); შეფასების თარიღი და დრო; განმეორებითი შეფასების თარიღი და დრო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ელექტრონული ფოსტის გარდა, მასწავლებელი ვალდებულია შეფასებამდე სულ მცირე 2 დღით ადრე მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტს სოციალური ქსელის გამოყენებით (ფეისბუქის ჯგუფი) ან სამეცადინო პროცესის დროს (რაც დასტურდება წინასწარი ინფორმირებულობის უწყისზე სტუდენტის ხელმოწერით).

განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი (არ დადასტურდა) შედეგის მიღების შემთხვევაში ან არგამოცხადების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის მეორე განმეორებითი შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სასწავლო მენეჯერს და სპეციალისტს, რომლებმაც აღნიშნული რეგულაციის მიხედვით პროცესების განცხორციელება სხვა პროგრამების ფარგლებში დაადასტურეს ინტერვიუირებითაც.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.2.1. -პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; - დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N 54 ბრძანებით(ბოლო ცვლილება:2024 წლის 20 სექტემბრის N13369 ბრძანება)დამტკიცებულია, „შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი“. კოლეჯში შიდა ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება ხდება სამი მიმართულებით: შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

   შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების გამოთხოვა/შესწავლა/შეფასება, შეფასების პროცესის შეფასება, დასკვნის მომზადება, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) და ა.შ); დამატებითი საქმიანობა - კოლეჯის შეფასების სისტემის ნაწილის -კვალიფიკაციის მინიჭების პროცესების მონიტორინგი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს, კერძოდ: პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით); ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების დიდი რაოდენობა; დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი (მათ შორის: პირი, რომელსაც მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება აქვს პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის); ერთი მოდულის ფარგლებში განმახორციელებელ პირთა სიმცირე; გასული წლის ვერიფიკაციის ანგარიშით გამოვლენილი ხარვეზის მიხედვით პროფესიული მასწავლებლების შერჩევა. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ ყოველ სამუშაო შეხვედრაზე განხილული იქნება ასევე, სხვა რისკ-ფაქტორებიც, რომელიც იმ დროისთვის შეიძლება ჰქონდეს კოლეჯს, რომლის გათვალისწინება ვერ მოხდა/მოხდებოდა რისკების სისტემაზე მუშაობის პერიოდში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის წევრების შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იყოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი. თუკი დარგის სპეციალისტი, შიდა ვერიფიკატორი ან ჯგუფის ხელმძღვანელი ახორციელებს მოდულს, რომელიც შეირჩევა ვერიფიკაციის გეგმით, ან თუ დარგის სპეციალისტი არის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესშიც დარგის სპეციალისტად მიწვეული, ჩამოთვლილი გარემობების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას მოხდეს ასეთი წევრის აცილების საკითხის განხილვა კონკრეტული მოდულის შემთხვევაში. პროცესი მიმდინარეობს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით.

შიდა ვერიფიკატორები ანუ შემსრულებლები არიან ჯგუფის წევრები (ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი) და თითოეულ მათგანს ვერიფიკაციის პროცესში დახმარებას უწევს იმ დარგის სპეციალისტი, რომელი მოდულიც გადის ვერიფიკაციის პროცესს. დარგის სპეციალისტი არ უნდა იყოს სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის შექმნაში და მისი ვალიდაციის პროცესში მონაწილე პირი.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/ხარისხის მართვის სამსახური სპეციალისტი ჩართულია, ვერიფიკაციის პროცესში დარგის სპეციალისტთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს, აღწერს საგამოცდო გარემოს და პროცესებს; ამოწმებს შეფასების მტკიცებულებების არსებობას და შეფასების უწყისის წარმოებას და შენახვას; ამზადებს ვერიფიკაციის დასკვნებს და წარადგენს ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრებზე; ახორციელებს ვერიფიკატორთა მუშაობის მონიტორინგს; ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე არის სხდომის მდივანი; დროებით ითავსებს ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოვალეობას, თუკი მოქმედი ხელმძღვანელის მიერ განსახორციელებელი მოდული მოხვდება ვერიფიკაციის გეგმის შერჩევაში, იღებს გადაწყვეტილებებს კონკრეტული მოდულის შემთხვევაში.

დარგის სპეციალისტი ჩართულია, ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს; ადგენს მასწავლებლის მიერ განხორციელებული სტუდენტის მტკიცებულებების შეფასების სამართლიანობას და ობიექტურობას, რისთვისაც თეორიული კომპონენტის შემთხვევაში ამოწმებს სტუდენტის მიერ წარმოდგენილ სწავლის შედეგების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შემთხვევაში ესწრება უშუალოდ შეფასების პროცესს.

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი კორდინაციას უწევს ვერიფიკაციის პროცესში განხორციელებულ აქტივობებს; შიდა ვერიფიკატორების მიერ წარდგენილი დასკვნების განხილვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს გამოვლენილი პრობლემების ხარვეზიანობის საკითხთან დაკავშირებით; საჭიროების შემთხვევაში ადგენს სამოქმედო გეგმას ხარვეზის გამოსასწორებლად თუ კი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დადგინდება რომ ხარვეზსს აქვს სისტემური ხასიათი; ამზადებს სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოს ანგარიშს; დახმარებას უწევს ჯგუფის წევრებს შეფასების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში; კოლეჯის დირექტორს წარუდგენს სამსახურეობრივ ბარათს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.2.2. - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; - დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის საკითხი დარეგულირებულია „სასწავლო პროცისის მარეგულირებელი წესის“ (დანართი №9) შესაბამისი მუხლებით. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების უწყისებისა და მტკიცებულებების (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული) შენახვას 3 წლის ვადით. გასაუბრებით დადგინდა, რომ პასუხისმგებელ პირებს (სასწავლო პროცესის მენეჯერი) მკაფიოდ აქვთ გადანაწილებული ფუნქციები მტკიცებულებების სისტემატიზაციისა და დაარქივების მიმართულებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.2.3. - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ შედეგის ფიქსირებაზე, არამედ სტუდენტის მხარდაჭერაზე. აღნიშნული დასტურდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დანართი №9) რამდენიმე ასპექტით: უკუკავშირის მექანიზმი: მასწავლებელი ვალდებულია სტუდენტს მიაწოდოს კონსტრუქციული უკუკავშირი, რაც ეხმარება მას ხარვეზების გააზრებასა და სწავლის შედეგის უკეთ მიღწევაში. განმეორებითი შეფასება: წესი ითვალისწინებს დამატებითი მეცადინეობებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობას იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ვერ დაადასტურეს კომპეტენცია პირველადი შეფასებისას. განვითარების დაგეგმვა: გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯი გეგმავს ინდივიდუალურ კონსულტაციებს, რაც პირდაპირ ემსახურება პროფესიული სტუდენტის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 2.4.2.4 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებული შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ბრძანებით)
2. „შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი“ (დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N54 ბრძანებით).
3. პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქუჩა №80-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე და მესამე სართულებზე. ექსპერტთა შეფასების საგანს წარმოადგენდა მხოლოდ მესამე სართული. აღნიშნული ფართი კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაშია იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2025 წლის 29 იანვარს. ხელშეკრულების თანახმად, იჯარის ვადა განსაზღვრულია 2032 წლის 1-ლ მარტამდე, რაც სრულად ფარავს ავტორიზაციის 6-წლიან პერიოდს. საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერის (საკადასტრო კოდი: 83.02.18.314 მიხედვით, კოლეჯის მფლობელობაში არსებული ფართი მოიცავს მესამე სართულს (ფლიგელი „ბ“: 626,56 კვ.მ), სადაც განთავსებულია, ოთხი A გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით; ერთი B გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია), რომელშიც განთავსებულია 25 კომპიუტერი, სამუშაო ადგილები პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული მასწავლებლისთვის; სამი C გარემო - დარგობრივი ლაბორატორიები; სამი ადმინისტრაციული დანიშნულების ოთახი; ოთხი სანიტარულ-ჰიგიენური წერტილი, მათ შორის სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის ადაპტრიებული. მატერიალური რესურსების ფლობა დასტურდება ინვენტარიზაციის აქტით, რომლის მიხედვითაც კოლეჯის ბალანსზე ირიცხება მოძრავი ქონება. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ კოლეჯში განთავსებულია სტუდენტური სივრცეები-ბიბლიოთეკა. ადგილზე გადამოწმდა სასწავლო აუდიტორიების აღჭურვილობაც (მერხები, სკამები, დაფები, პროექტორები). ვინაიდან კოლეჯი ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, ხოლო იჯარის ვადა მოიცავს ავტორიზაციის პერიოდს, სტანდარტის ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 5.1.1.1 დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო და დაადგინა შემდეგი: შენობა ადაპტირებულია გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთათვის. დამონტაჟებულია პანდუსები, რაც უზრუნველყოფს თავისუფალ გადაადგილებას სართულებს შორის, ასევე მოწყობილია სპეციალურად ადაპტირებული ჰიგიენური კვანძი. პროფესიულ სტუდენტთა უფლება, ისარგებლონ კოლეჯის რესურსებით, განმტკიცებულია „შინაგანაწესით“ და „სასწავლო პროცისის მარეგულირებელი წესით“. კერძოდ, წესი განსაზღვრავს სტუდენტის უფლებას, გამოიყენოს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები და საერთო სარგებლობის სივრცეები სასწავლო მიზნებისთვის. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თეორიული სწავლების აუდიტორიები (A გარემო), რომლებიც აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და საპრეზენტაციო ტექნიკით. კომპიუტერული კლასები (B გარემო) უზრუნველყოფილია გამართული ტექნიკითა და ინტერნეტით. სსსმ და შშმ პირთა ჩარიცხვის შემთხვევაში, კოლეჯი იღებს ვალდებულებას, მოახდინოს რესურსების ინდივიდუალური ადაპტირება. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა არ შემოიფარგლება მხოლოდ შენობის შიდა სივრცეებით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი შეადგენს 4550 კვ.მ-ს, რომლის ნაწილსაც კოლეჯი იყენებს სტუდენტთა რეკრეაციული მიზნებისათვის. კოლეჯის ეზო წარმოადგენს ღია სარეკრეაციო სივრცეს, რომელიც მოწყობილია სტუდენტთა დასვენებისა და თავისუფალი დროის ეფექტურად გატარებისათვის.

ინდიკატორი 5.1.1.2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის; - დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში (მესამე სართული) დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში ადგილზე დაათვალიერა სასწავლო და ადმინისტრაციული გარემო, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი: კოლეჯში მოწყობილია სველი წერტილები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აღჭურვილია სადეზინფექციო საშუალებებით და სხვა აუცილებელი ჰიგიენური რესურსით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები გაწერილია „უსაფრთხოების დებულებაში“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის №60 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 02/02/2026, ბრძანება №1711). დოკუმენტი განსაზღვრავს დასუფთავების გრაფიკს, დეზინფექციის წესებსა და პასუხისმგებელ პირებს. კოლეჯს ჰყავს დამლაგებლები, რომელთა მოვალეობაშიც შედის ჰიგიენური ნორმების დაცვა. ვიზიტის მომენტში ყველა სივრცე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იყო სუფთა და მოწესრიგებული. **ინდიკატორი 5.1.1.3 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები -დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია გამართული გათბობის სისტემით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო და სამუშაო გარემოში შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე გადაამოწმა მესამე სართულის (ფლიგელი „ბ“) გათბობის სისტემა. დადგინდა, რომ აღნიშნულ სართულზე, სადაც განთავსებულია 2 პროგრამის სასწავლო აუდიტორიები და დარგობრივი ლაბორატორიები, დამონტაჟებულია იატაკის გათბობის სისტემა. ვიზიტის მსვლელობისას დაწესებულების ადმინისტრაციამ მოახდინა სისტემის დემონსტრირება — გათბობა ჩაირთო ექსპერტების თანდასწრებით, რამაც დაადასტურა მისი ფუნქციური გამართულობა. **ინდიკატორი 5.1.1.4 შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით; - დაკმაყოფილებულია.**

5. კოლეჯში არსებობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება „უსაფრთხოების დებულებით“, რომლიც განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მესამე სართულის (ფლიგელი „ბ“) უსაფრთხოების მდგომარეობა და დაადგინა შემდეგი: შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვასა და მონიტორინგს ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს აკრედიტებული კომპანია შპს „სეიფთი ლაბი“ (ხელშ. №103832349, 13.01.2025). კომპანია უზრუნველყოფს სერტიფიცირებული სპეციალისტის ჩართულობას, რისკების პერიოდულ შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. მესამე სართულზე, თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია ჯანმრთელობის დაცვის გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები. კოლეჯს აქვს პერსონალისა და სტუდენტების სწავლება/ინსტრუქტაჟის მექანიზმებიც. „უსაფრთხოების დებულების“ შესაბამისად, კოლეჯი ახორციელებს სამუშაო ადგილზე ალკოჰოლური და ნარკოტიკული სიმთვრალის კონტროლს და პერიოდულად ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის გამართულობას. **ინდიკატორი 5.1.1.5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები; - დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯში არსებობს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დანართი №9) 22-ე მუხლით. აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად, მომარაგებისა და გაცემის პროცედურა შემდეგნაირია: პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების პროცესის საჭირო რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ადმინისტრაციული დირექტორი. უშუალოდ მასალის გაცემას, აღრიცხვასა და მარაგების კონტროლს აწარმოებს რესურსების მართვის სპეციალისტი, რომლის განკარგულებაშიცაა საკეტით აღჭურვილი სპეციალური სათავსო. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მასალის მისაღებად მასწავლებელი წერილობით მიმართავს რესურსების მართვის სპეციალისტს. გაცემის ფაქტი დასტურდება მასალა-ნედლეულის ხარჯვის ტაბელით, რომელსაც ხელს აწერს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიმღები პირი. მარაგების შევსების საჭიროებისას, სპეციალისტი შუამდგომლობით მიმართავს ადმინისტრაციულ დირექტორს. აღჭურვილობის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას წელიწადში ორჯერ ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი. ასევე, კოლეჯი იღებს ვალდებულებას, სსსმ პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, ადმინისტრაციული დირექტორის პასუხისმგებლობით, უზრუნველყოს ინდივიდუალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსი. გარდა ამისა, კოლეჯსა და სპეციალიზებულ კომპანიას (შპს „სანიტარი“) შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება დაწესებულების ტერიტორიაზე წარმოქმნილი როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების მართვა. ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი კომპანია უზრუნველყოფს ნარჩენების ტრანსპორტირებას, მათ დროულ გამოტანას და განთავსებას სპეციალურად მოწყობილ ბაზაზე. მნიშვნელოვანია, რომ კომპანია იღებს ვალდებულებას ნარჩენების შემდგომ გადამუშავება-უტილიზაციაზე საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით. **ინდიკატორი 5.1.1.6 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები; - დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია მატერიალური და სასწავლო რესურსების მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“(დამტკიცებულია დირექტორის 2020 წ . 29 სექტემბრის N54 ბრძანებით). კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯში დანერგილია ხარისხის დეცენტრალიზებული მართვის მოდელი, რაც გულისხმობს თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და დასაქმებულის უშუალო ჩართულობას მიმდინარე პროცესების მონიტორინგში. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში, მატერიალური რესურსების ადეკვატურობისა და საკმარისობის შეფასება ხორციელდება სისტემატურად, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ჩაატარა ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ რესურსების შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ პერიოდული გამოკითხვებით: დასაქმებულებს აქვთ მუდმივი კომუნიკაცია ადმინისტრაციულ დირექტორთან, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალებისა და ნედლეულის მარაგების დროულ შევსებას. რესურსების მდგომარეობის შეფასების მიზნით, კოლეჯში ტარდება ინვენტარიზაცია სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. აღნიშნული პროცესი იძლევა საშუალებას, მოხდეს ამორტიზებული ან დაზიანებული რესურსების იდენტიფიცირება, მათი დროული ჩამოწერა და განახლების შემდგომი დაგეგმვა. **ინდიკატორი 5.1.1.7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას; - დაკმაყოფილებულია.**

8. კოლეჯის შენობა-ნაგებობაში (მესამე სართული) მოწყობილია სტანდარტების შესაბამისი, გამიჯნული სანიტარიული კვანძები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა შემდეგი: სანიტარიული კვანძები გამიჯნულია სქესის მიხედვით და ხელმისაწვდომია ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

პროფესიული სტუდენტისთვის. შენობაში არსებობს ადაპტირებული სანიტარიული კვანძიც. კვანძები მუდმივად მარაგდება წყლით, უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და გამართული ვენტილაციის სისტემით. პირადი ჰიგიენის დაცვის მიზნით, ყველა წერტილი აღჭურვილია ხელსაბანებით და სხვა აუცილებელი საშუალებებით. **ინდიკატორი 5.1.1.8 პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის; - დაკმაყოფილებულია.**

9. კოლეჯის ყველა სასწავლო ფართი (მესამე სართული) განთავსებული დარგობრივი ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცე, უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობით. ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ ფანჯრების განლაგება უზრუნველყოფს დღის შუქის ოპტიმალურ შეღწევას, ხოლო დამონტაჟებული სანათი საშუალებები ქმნის სრულყოფილ ხელოვნურ განათებას. სამუშაო სივრცეებში დაცულია განათების ისეთი რეჟიმი, რომელიც აუცილებელია პრაქტიკული მეცადინეობების უსაფრთხოდ ჩატარებისა და სტუდენტებისთვის კომფორტული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. **ინდიკატორი 5.1.1.9 ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; - დაკმაყოფილებულია.**

10. კოლეჯის შიდა გეგმარება ოპტიმალურად უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებელ წარმართვას. შენობაში არ არის გამავალი ოთახები; სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული სამუშაო სივრცეები, ბიბლიოთეკა და პრაქტიკული ლაბორატორიები ერთმანეთისგან იზოლირებულია, რაც გამორიცხავს ხმაურსა და სამუშაო პროცესში ხელშეშლას. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ თეორიული და პრაქტიკული სწავლების სივრცეები (მესამე სართული) განლაგებულია ლოგიკურად. **ინდიკატორი 5.1.1.10 სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას; - დაკმაყოფილებულია.**

11. ბიბლიოთეკა მომხმარებლებს სთავაზობს, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს, რაც მოწესრიგებულია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით. მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სამკითხველო სივრცით, უკაბელო ინტერნეტით (Wi-Fi), პრინტერითა და სკანერით. იშვიათი გამოცემები (ერთ ეგზემპლარიანი) გამოიყენება მხოლოდ ადგილზე, ხოლო სხვა რესურსები გაიცემა 5 სამუშაო დღის ვადით. პროცესს მართავს ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია ფონდის განახლებასა და მომხმარებელთა კონსულტირებაზე. ბიბლიოთეკაში შემოსული მატერიალური წიგნი შემოსვლიდან 3 დღის ვადაში რეგისტრირდება ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალში დაენიჭება ინვენტარის ნომერი. ბიბლიოთეკაში შემოსული ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაიწერება CD დისკზე ან ფლეშმეხსიერების ბარათზე, შემოსვლიდან 3 დღის ვადაში რეგისტრირდება ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალში და ენიჭება ინვენტარის ნომერი. სასწავლო რესურსი მინიჭებული ინვენტარის ნომრით აისახება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ელექტრონულ თემატურ კატალოგში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის კომპიუტერში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სტუდენტებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის. **ინდიკატორი 5.1.1.11 მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *იჯარის ხელშეკრულება (2025 წლის 29 იანვარი);*
2. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 83.02.18.314)*
3. *შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი.*
4. *მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია*
5. *შპს მარნეულის კოლეჯი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით)*
6. *შინაგანაწესი (დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით);*
7. *კოლეჯსა და სპეციალიზებულ კომპანიას (შპს „სანიტარი“) შორის გაფორმებულია ხელშეკრულება;*
8. *ბიბლიოთეკის მართვის წესი;*
9. *ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების მომსახურების გაწევის შესახებ N 103832349. 13 იანვარი 2025 წ.*
10. *პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.*
11. *ვიზუალური დათვალიერების შედეგები*

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში (მესამე სართული) დაცულია უსაფრთხოების ნორმები, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური შემოწმებით: სახანძრო უსაფრთხოება: კოლეჯმა წარმოადგინა სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა (05.05.2025, ანგარიში № BI-078). დოკუმენტის თანახმად, შენობის მესამე სართულის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის №370-ე („სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“) და №52-ე დადგენილებებით განსაზღვრულ ტექნიკურ რეგლამენტებთან. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“ მიერ გაცემული დასკვნა (№2020-55, 14.09.2020), რომელიც ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროცესისთვის განკუთვნილი ნაგებობა არის კონსტრუქციულად მდგრადი და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის. ექსპერტთა მხირდან ვიზუალური დათვალიერების საფუძველზეც კოლეჯში დაცულია უსაფრთხოების ზომები. **ინდიკატორი 5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები; - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცედურები და პასუხისმგებლობები რეგულირდება „უსაფრთხოების დებულების“ მე-5 თავით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკული იმპლემენტაცია და დაადგინა შემდეგი: პერსონალისა და სტუდენტებისთვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება იმავე შენობაში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებასთან — კლინიკა „მედ X“-თან, ასევე, პირველადი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ დამტკიცებული (საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული) კვალიფიციური პირი. შენობაში განთავსებულია პირველადი დახმარების 2 ყუთი, რომლებიც დაკომპლექტებულია სტანდარტული სამედიცინო საშუალებებით. მათ შენახვაზე, მონიტორინგსა და მარაგების შევსებაზე პასუხისმგებელია სამედიცინო უზრუნველყოფის სფეროში უფლებამოსილი პირი. ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. დახმარების გაწევის ყოველი ფაქტი ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში. **ინდიკატორი 5.1.2.2 დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; - დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და (2022 წლის 19 ივლისის MIA 2 22 01982148 წერილი) შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 26 ივლისი 2022 წლის N 5516 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,(შევიდა ცვლილება 2024 წლის 6 თებერვლის N1158 ბრძანებით) რომელშიც იდენტიფიცირებული აქვს რისკები და შემუშავებული აქვს მათი მართვის მექანიზმი. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია, ინფორმაცია მხოლოდ მე-2 სართულის სასწავლო ფართის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესახებ და ასახულია მეორე სართულის საევაკუაციო გეგმა, მაგრამ დაწესებულების ახალი სასწავლო გარემო (მესამე სართულის ფართი) არ იყო წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დოკუმენტში.

ვინაიდან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებული ვერსია არ მოიცავდა ახალი პროგრამების განხორციელების ადგილს (მესამე სართულს), სტანდარტის აღნიშულ ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზი შემდეგი ფორმულირებით:კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ არ მოიცავს შენობის მესამე სართულს, სადაც დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ განხორციელება. ახალი სასწავლო ფართისთვის მომზადებული საევაკუაციო გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან — სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, (წერილი MES 4 26 0000403914 – 03/04/2026) დააფიქსირა, მოსაზრება და არგუმენტები ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ხარვეზის შესახებ.

აღნიშნული ხარვეზის ერთ-ერთ ნაწილს, კერძოდ, ახალი სასწავლო ფართისთვის მომზადებული საევაკუაციო გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან — სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“, შპს “მარნეულის კოლეჯი” - არ დაეთანხმა და წარმოადგინა, შემდეგი არგუმენტები და მტკიცებულებები: „მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან 2025 წლის თებერვალში. საევაკუაციო გეგმები ვიზიტის დღესაც გამოკრული იყო შენობის თვალსაჩინო (გეგმით განსაზღვრულ) ადგილზე და ზედ რეკვიზიტად ადევს შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.“ ასევე, დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა, ხელშეკრულება მომსახურების გაწევის თაობაზე (ხელშეკრულება NO27/02), აღნიშნული ხელშეკრულების მუხლი 2-ით განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავება. აღნიშნულ ხელშეკრულებას ახლავს მიღება-ჩაბარების აქტიც, რომელშიც წარმოდგენილია შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავებისთვის გაწეული შრომის საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაცია, რომელიც დასტურდება მხარეების მიერ ხელმოწერითაც.

ზემოთ მოცემული გარემოებების გათვალისწინებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და განმარტავს, რომ მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა მომზადებულია, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ და აღნიშნული ინფორმაცია დატანილია საევაკუაცია გეგმაზეც, რომ შემსრულებელი არის ზემოთაღნიშნული ორგანო, თუმცა მესამე სართულის ფართის (ახალი სასწავლო გარემოს)საევაკუაციო გეგმა არ წარმოადგენდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დოკუმენტის ნაწილს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტთმა ჯგუფმა ჩათვალა, რომ საევაკუაციო გეგმა მომზადებულია შესაბამისი ორგანოს მიერ და გამოკრულია დაწესებულების მესამე სართულზე, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა აღნიშნული(მესამე სართულის) საევაკუაციო გეგმის გათვალისწინებით, არ არის შეთანხმებული სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან". შესაბამისად, აღნიშნულ ჭრილში იყო განხილული ხარვეზის ერთ-ერთი ნაწილი, სადაც ასახულია, რომ საევაკუაციო გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან.

გარდა აღნიშნული არგუმენტებისა, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(დამტკიცებული მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის N 5346 ბრძანებით (ცვლილება - დირექტორის N5871 ბრძანება) რომელშიც ინდიკატორი 5.1.2.3. - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - შესრულების ვადად განსაზღვრულია არაუმეტეს ერთი თვე(2026 წლის 05 აპრილამდე), რომელიც გონივრულია ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. თუმცა, აღნიშნული ინდიკატორის შესრულების მტკიცებულება, ახალი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,(მესამე სართულის ფართის გათვალისწინებით) რომელიც შეთანხმებულია სსიპ - „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან". (თარიღი 31/03/2026 - წერილი: MIA 5 26 01111503) დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას.

შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორი 5.1.2.3. *- დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში მესამე სართულის ფართის (ახალი სასწავლო გარემოს)შესახებ ინფორმაციისა და საევაკუაციო გეგმის ასახვა და შეათანხმოს კომპეტენტურ ორგანოსთან - სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან".*

დაფიქსირებული ხარვეზი და შეფასება: არ შეესაბამება, შეიცვალა და შეფასდა, როგორც - მეტწილად შეესაბამება.

ინდიკატორი 5.1.2.3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი; - მეტწილად შეესაბამება.

4. კოლეჯი საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მთელ პერიმეტრზე (მესამე სართული) უზრუნველყოფს წესრიგის დაცვასა და სტუდენტთა/პერსონალის უსაფრთხოებას. აღნიშნული მექანიზმი ხორციელდება შემდეგი კომპონენტებით: ვიდეომონიტორინგი: შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომელიც ახორციელებს 24-საათიან უწყვეტ მონიტორინგს. კამერებს აქვთ ჩანაწერების შენახვისა ფუნქცია. ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ პერიმეტრზე განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. ტექნიკური გამართულობა: სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტი. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დაცვის თანამშრომლის პოზიცია. დირექტორის მიერ განსაზღვრულია იმ უფლებამოსილ პირთა წრე, რომელთაც აქვთ წვდომა ვიდეოკონტროლის „ცოცხალ" რეჟიმში ნახვასა და არქივირებულ ჩანაწერებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წესრიგის დაცვის დამატებითი წესები, ეთიკის ნორმები და პასუხისმგებლობები დეტალურად არის გაწერილი კოლეჯის შინაგანაწესში. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ მესამე სართულსა და საერთო სარგებლობის სივრცეებში კამერები განთავსებულია სტრატეგიულ წერტილებში, რაც უზრუნველყოფს სრულ კონტროლს.**ინდიკატორი 5.1.2.4 დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;*
2. *პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა დათვალიერების შედეგები;*
3. *კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ („შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“ მიერ გაცემული დასკვნა (№2020-55, 14.09.2020)*
4. *დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (ხანძრო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა (05.05.2025, ანგარიში № BI-078).*
5. *შინაგანაწესი (დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით);*
6. *ინტერვიუს შედეგები.*
7. *დათვალიერების შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პროცესებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური შესწავლით დადასტურდა შემდეგი: სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები აღჭურვილია სათანადო პარამეტრების მქონე პერსონალური კომპიუტერებით/ნოუთბუქებით. ტექნიკის რაოდენობა და სიმძლავრე შეესაბამება სტუდენტთა საერთო კონტინგენტსა და საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. კომპიუტერული ტექნიკა აღჭურვილია შესაბამისი ოპერაციული სისტემებითა და პროგრამული პაკეტებით, რომლებიც აუცილებელია როგორც ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ისე პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალების დასამუშავებლად. მთელ პერიმეტრზე (მესამე სართულზე) ხელმისაწვდომია ინტერნეტი. კოლეჯი უზრუნველყოფს როგორც კაბელურ (LAN), ისე უკაბელო (Wi-Fi) კავშირს. ინტერნეტის მიწოდების უწყვეტობა და ადმინისტრაციული/სასწავლო პროცესების ციფრული მხარდაჭერა დასტურდება პროვაიდერ კომპანიასთან — შპს „ჯენეტთან“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაფორმებული ხელშეკრულებით (11.09.2019). **ინდიკატორი 5.2.1.1 პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს; - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯში IT რისკების მართვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები რეგულირდება „უსაფრთხოების დებულების“ მე-9 თავით (მუხლები 54-65). დოკუმენტური შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს ჩამოყალიბებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ინფორმაციული აქტივების მართვა: კოლეჯი ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის გეგმიურ (წელიწადში ერთხელ) და არაგეგმიურ ინვენტარიზაციასა და ტექნიკურ შემოწმებას. ტექნოლოგიების სპეციალისტი ადგენს შემოწმების აქტებს, სადაც ფიქსირდება ტექნიკის როგორც აპარატული, ისე პროგრამული გამართულობა. წვდომის კონტროლი და დიფერენცირება: მკაცრადაა განსაზღვრული ელექტრონულ ბაზებსა და სისტემებზე წვდომის უფლებები. დებულების 58-61 მუხლების შესაბამისად, მართვის ელექტრონულ სისტემებზე (EMIS, E-flow, შემოსავლების სამსახურის პორტალი) წვდომა აქვთ მხოლოდ კონკრეტულ უფლებამოსილ პირებს (დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, ბუღალტერი და სხვ.), რაც გამორიცხავს მონაცემთა არასანქცირებულ გამოყენებას. მონაცემთა რეზერვირება და დაარქივება: ინფორმაციის მთლიანობისა და დაცულობის მიზნით, ტექნოლოგიების სპეციალისტი კვარტალში ერთხელ ახორციელებს კოლეჯის სტრატეგიული დოკუმენტაციის (პროგრამები, შეფასების ინსტრუმენტები, ბაზები) სარეზერვო ასლების (Backup) შექმნას და მათ შენახვას ელექტრონულ საცავში. ინციდენტების იდენტიფიცირება: სისტემა ითვალისწინებს კიბერინციდენტების (ვირუსები, სისტემური ხარვეზები) დროულ გამოვლენასა და მათზე რეაგირებას. კოლეჯი ასევე იყენებს გარე მომსახურებას საინფორმაციო სისტემების დაცულობის პერიოდული შემოწმებისთვის. პერსონალური მონაცემების დაცვა: განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტებისა და მასწავლებლების პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც ინახება დაცულ სერვერებზე და გამოიყენება მხოლოდ შიდა მონიტორინგის მიზნებისთვის. **ინდიკატორი 5.2.1.2 პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას; - დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის პროცესი სრულ შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა შემდეგი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს სპეციალიზებულ ორგანიზაციასთან — შპს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის გუნდთან“ (ს/კ: 402303093). 2024 წლის 2 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე, დაწესებულებას ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ზედამხედველობს მონაცემთა დამუშავების კანონიერებას. მარეგულირებელი ჩარჩო: კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა მართვის წესი“ (დირექტორის 19.05.2025-ის №7408 ბრძანება). დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს შემდეგ საკითხებს: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პერსონალის მონაცემთა დამუშავების პოლიტიკას (მიზნები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამართლებრივი საფუძვლები); ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესსა და ფარგლებს; მონაცემთა სუბიექტის უფლებებს და სხვა. ვინაიდან კოლეჯში ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, დანერგილი აქვს მონაცემთა მართვისა და ინციდენტებზე რეაგირების გამართული პოლიტიკა და იცავს მონაცემთა სუბიექტების უფლებებს, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 5.2.1.3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას; - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯში მოქმედებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება შემდეგი:საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი პერიოდულად ახორციელებს ინფორმაციული უსაფრთხოების მონიტორინგს. ხდება შესაძლო ინციდენტების იდენტიფიცირება, მონაცემთა შეგროვება და მათზე რეაგირების ოპტიმალური მექანიზმების შემუშავება. იდენტიფიცირებული საჭიროებების განხილვა-ანალიზის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ სისტემის მომსახურებასა და გამოყენებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. ეს უზრუნველყოფს IT გადაწყვეტილებების შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან. რეგულარულად ხორციელდება კომპიუტერული ტექნიკის როგორც ფიზიკური (აპარატული), ისე პროგრამული შემოწმება. გამოვლენილი ხარვეზებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდება ადმინისტრაციულ დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. ელექტრონული სერვისებისა და მართვის სისტემების დანერგვის ან განვითარების საჭიროების იდენტიფიცირება ხდება პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე. **ინდიკატორი 5.2.1.4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას; - დაკმაყოფილებულია.**

5. კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა. აღნიშნული გარემოება დასტურდება შემდეგი კომპონენტებით: მოძრავი ქონების, მათ შორის IT ტექნოლოგიების მართვის საკითხები ინტეგრირებულია კოლეჯის დებულებაში (დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბერს N55 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 2 თებერვლის N 1711 ბრძანებით, მე-7 მუხლი). ეს უზრუნველყოფს ტექნიკური რესურსის სისტემურ მართვასა და მის მიზნობრივ გამოყენებას. ინფრასტრუქტურასთან ერთად, ხელმისაწვდომია IT სპეციალისტის მომსახურება. პერსონალსა და სტუდენტებს შეუძლიათ სამუშაო/სასწავლო პროცესში მიიღონ ოპერატიული ტექნიკური დახმარება ან კონსულტაცია ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 5.2.1.5 პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ოპერატიულ ინფორმირებას ერთიანი და მრავალფეროვანი საკომუნიკაციო მექანიზმების გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებისა და დოკუმენტური შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: კომუნიკაციის პროცესების მართვა რეგულირდება კოლეჯის დებულების მე-10 მუხლით („კომუნიკაციების მართვა“), რაც განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელების ოფიციალურ წესებსა და პასუხისმგებლობებს. ოფიციალური შეტყობინებების, სასწავლო მასალებისა და ადმინისტრაციული ინფორმაციის მიმოცვლისთვის აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა. პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებულობა ასევე ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით და სოციალური ქსელებით. კოლეჯი ეფექტიანად იყენებს ამ პლატფორმებს ოპერატიული სიახლეების გასაზიარებლად და ინტერაქციული კავშირის შესანარჩუნებლად. **ინდიკატორი 5.2.1.6 პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. *კოლეჯის დებულება (დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბერს N55 ბრძანებით)*
2. *კოლეჯის უსაფრთხოების დებულება;*
3. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიასთან ხელშეკრულება;*
4. *პერსონალურ მონაცემთა მართვის წესი;*
5. *ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი*
6. *უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;*
7. *კოლეჯის დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი*

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების სისტემა, რომელიც რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება სამი ძირითადი არხით: E-FLOW: ელექტრონული საქმისწარმოების სპეციალური პროგრამა (6 ავტორიზებული მომხმარებლით); SIGNIFY: თანამშრომლობითი დოკუმენტაციის ელექტრონული მართვისა და ხელმოწერის პროგრამა; მატერიალური ფორმა: ქაღალდზე შესრულებული დოკუმენტაცია და შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალები. პროცესზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი და საქმისწარმოების სპეციალისტი. დოკუმენტებზე გამოიყენება კოლეჯის ლოგო, ბეჭდები და დირექტორის ხელმოწერის ფაქსიმილე, რომელსაც გააჩნია იურიდიული ძალა. სისტემა უზრუნველყოფს შიდა (ბრძანებები, ოქმები, ბარათები), სასწავლო (პროგრამები, უწყისები), შემოსული და გასული კორესპონდენციის სრულ აღრიცხვასა და დაარქივებას. ნებისმიერი მატერიალური დოკუმენტი ექვემდებარება დასკანერებას და სისტემაში ატვირთვას, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ გადაცემას ადრესატამდე და მონაცემთა დაცულობას. **ინდიკატორი 5.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი; - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯში მართვის პროცესები დაფუძნებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო საქმიანობის ოპერატიულობასა და გამჭვირვალობას. ექსპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა შემდეგი ტექნოლოგიური პლატფორმები: ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა(e-flow): კოლეჯი აქტიურად იყენებს დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემას — e-flow:. სისტემა უზრუნველყოფს ბრძანებების, კორესპონდენციისა და შიდა ბარათების ელექტრონულ ვიზირებას, რეგისტრაციასა და დაარქივებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს ბიუროკრატიულ დანახარჯებსა და დოკუმენტის დაკარგვის რისკს. ციფრული ხელმოწერა და ვერიფიკაცია (signify): ხელშეკრულებების, მემორანდუმებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების მართვისთვის გამოიყენება პლატფორმა signify. აღნიშნული ტექნოლოგია იძლევა დისტანციური ხელმოწერისა და დოკუმენტის ავთენტურობის დაცვის გარანტიას. **ინდიკატორი 5.2.2.2 პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის; - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში- emis კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის დროულ და კანონშესაბამის ასახვას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: კოლეჯში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც კურირებს რეესტრის წარმოებას, მონაცემთა სისწორესა და მათ პერიოდულ განახლებას. პასუხისმგებელ პირს სრულყოფილად აქვს ათვისებული სისტემის ფუნქციონალი, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხიან მართვას. რეესტრში ასახულია ინფორმაცია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადმინისტრაციული პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით ადგილზე, სისტემაში შესვლის გზით, გადაამოწმა რამდენიმე პროფესიული მასწავლებლის მონაცემები. დადასტურდა, სისტემაში სრულყოფილადაა ასახული ინფორმაცია.**ინდიკატორი 5.2.2.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას; - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯი მუდმივ რეჟიმში, ჯეროვნად და დადგენილ ვადებში ახორციელებს ანგარიშგებას, უკუკავშირსა და ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებებთან. **ინდიკატორი 5.2.2.4 პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“
2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
3. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა;
4. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის საკომუნიკაციო პოლიტიკა ეფუძნება საჯაროობისა და ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდების პრინციპებს. კოლეჯი ფლობს და მართავს რამდენიმე საინფორმაციო პლატფორმას, რომლებიც სრულად ასრულებენ საკომუნიკაციო ფუნქციას: ოფიციალური ვებგვერდი (https://mc.edu.ge/ge): ვებგვერდი წარმოადგენს დაწესებულების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ძირითად წყაროს. მასზე განთავსებულია საკონტაქტო რეკვიზიტები, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი და სხვა სტრატეგიული დოკუმენტაცია. ჰოსტინგისა და დომენის მომსახურების ხელშეკრულება უზრუნველყოფს გვერდის უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებას. სოციალური მედია არხები: კოლეჯი აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს — Facebook (https://www.facebook.com/marneulicollege) და Instagram (https://www.instagram.com/marneulicollege/). აღნიშნული არხები გამოიყენება მიმდინარე სიახლეების, ღონისძიებებისა და აქტივობების ოპერატიულად გასაშუქებლად. კოლეჯი უზრუნველყოფს სიახლეების განთავსებას გონივრულ ვადებში. მექანიზმის ეფექტიანობისთვის განსაზღვრულია ფუნქციური პასუხისმგებლობები: IT განყოფილება: პასუხისმგებელია ვებგვერდის ტექნიკურ გამართულობასა და უსაფრთხოებაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (PR): პასუხისმგებელია შინაარსობრივ განახლებაზე, სიახლეების მომზადებასა და მომხმარებელთან ინტერაქციაზე. **ინდიკატორი 5.2.3.1 პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; - დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის სტარტეგიულ მიზნებში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. ამასთანავე, კოლეჯის გეოგრაფიული მდებარეობა და რეგიონის სპეციფიკა (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული არეალი) განაპირობებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჭიროებას სხვადასხვა ენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯი უზრუნველყოფს შემდეგს: ენობრივი მრავალფეროვნება: ოფიციალური ვებგვერდი, სახელმწიფო ენის გარდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სრულფასოვნად ფუნქციონირებს ინგლისურ (https://mc.edu.ge/en) და რუსულ (https://mc.edu.ge/ru) ენებზე. **ინდიკატორი 5.2.3.2 დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; - დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯში ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო არხების (ვებგვერდი, სოციალური ქსელები) ადმინისტრირებასა და მხოლოდ სანდო, უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სამსახური პასუხისმგებელია დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიან კომუნიკაციაზე, კორესპონდენციის ოპერატიულ გადამისამართებასა და ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზებაზე, ხოლო ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ განთავსებული ინფორმაციის გადამოწმებით დადასტურდა, რომ საჯარო მონაცემები ვალიდურია და არ არის შეცდომაში შემყვანი, რაც სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 5.2.3.3 პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; - დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას თითოეული პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, ხანგრძლივობისა და დაშვების წინაპირობების შესახებ. კატალოგის საჯაროობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას და ეხმარება აპლიკანტებს გააზრებული არჩევანის გაკეთებაში, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვებგვერდის შინაარსობრივი გადამოწმების შედეგადაც. **ინდიკატორი 5.2.3.4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ; - დაკმაყოფილებულია.**

5. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ექვემდებარება ყოველწლიურ გეგმიურ განახლებას, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მუდმივ აქტუალობას. გარდა გეგმიური განახლებისა, კატალოგში ოპერატიულად აისახება ნებისმიერი ცვლილება, რომელიც უკავშირდება ახალი პროგრამების დამატებას ან არსებულ მოდულებში განხორციელებულ კორექტირებას. **ინდიკატორი 5.2.3.5 პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად; - დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯი ეფექტიანად იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს (ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელები, დახურული ჯგუფები) საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირის დასამყარებლად. მიღებული ინფორმაცია, მათ შორის ელექტრონული გამოკითხვების შედეგები, ექვემდებარება სისტემურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სათანადო რეაგირება და იგეგმება საქმიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს გარე და შიდა უკუკავშირის ტრანსფორმაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხარისხის განვითარების კონკრეტულ გადაწყვეტილებებში. **ინდიკატორი 5.2.3.6 საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. - დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. კოლეჯის ვებ. გვერდი: https://www.mc.edu.ge/ge;
2.კოლეჯის სოციალური ქსელის გვერდები; (https://www.facebook.com/marneulicollege), (https://www.instagram.com/marneulicollege/).
3. დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
4. კოლეჯის დებულება
5. კოლეჯის კატალოგი: https://mc.edu.ge/storage/documents/1745558695.pdf
6. ვებგვერდის დათვალიერების შედეგები;
7. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;

დანართი 3. განცხადება

თარიღი:16.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---